



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1937  
05/12/2018

ქალაქი ბათუმი

1937-05-4-201812051106



### ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ქ. თბილისში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 03 დეკემბრის №16142/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, მივლინებული ვართ ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ ზაზა გაბუნიას ინიციატივით დაგეგმილ „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი“ -ს გენერალურ ფორუმში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 06 დეკემბრიდან 07 დეკემბრის ჩათვლით.

2. ქალაქ თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა „მიცუბიში“ L200 სახელმწიფო ნომრით G-051-NA და გამოიყოს 130 ლიტრი საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულმა სამსახურმა (მ. ბახტაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

